ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

ეკატერინე კულულაშვილი, დავიბადე 1980 წლის 3 მაისს ქალაქ თელავში.
1997 წელს დავამთავრე ქალაქ თელავის მე-5 საშუალო სკოლა.

2002 წელს დავამთავრე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ–ტექნიკურ ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის განხრით.

მონაწილეობა მივიღე შემდეგ ტრენინგებსა და სემინარებში

2002 წელი - საქართველოს განათლების სამინისტროს საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალურ ინსტიტუტში თემაზე ბავშვის უფლებათა კონვენცია.
2003-2004 წლები - სამოსამართლო სწავლების ცენტრი - მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი კომპლექსური სასწავლო კურსი.
2009-2014 წლებში იუსტიციის უმაღლესი სკოლა: ემორის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დაცვისა და დავის გადაწყვეტის ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგი თბილისის იუსტიციის უმაღლეს სკოლაში თემაზე - საქართველოს სააპელაციო დაცვა ზეპირი და წერილობითი არგუმენტების გამოყენებით; ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია საქართველოში, თემა - სასამართლო განაჩენთა და სხვა გადაწყვეტილებათა დასაბუთება; გერმანიის სასამართლო სტრუქტურა და მათი მუშაობის ძირითადი პრინციპები (ვიზიტი ქალაქ ჰამბურგში); მონაწილეობა მივიღე სემინარში თემაზე - პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციები.
2010-2013 წელი - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მოსამართლეთა თანაშემწეებისა და სხდომის მდივნებისათვის.
2013 წელი - მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.
2014 წელს გავხდი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

სამუშაო გამოცდილება
2002-2004 წლები საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი, თბილისის ჩუღურეთის რაიონის ადვოკატურაში ადვოკატი.
2004-2005 წლები თბილისის საოლქო სასამართლო, მოსამართლის თანაშემწე.
2005-2006 წლები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომის მდივანი.
2006-2013 წლები თბილისის სააპელაციო სასამართლო, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის თანაშემწე.
2013-2014 წლები საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, მართლმსაჯულების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.
2014-2015 წლები თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია, მოსამართლის თანაშემწე.

2015-2016 წლები თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.
2016-2020 წლები თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე.
2018 წლის ივნისიდან თანამდებობაზე გავმწესდი უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.
2020-2021 წლებში მივლინების საფუძველზე მოსამართლის უფლებამოსილებას ვახორციელებდი მცხეთის რაიონულ სასამართლოში.
2021 წლის აგვისტოდან ოქტომბრამდე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე.
2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის ნოემბრამდე ამავე სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე.
2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის აგვისტომდე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე.
2023 წლის 14 აგვისტოდან ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

მყავს ერთი შვილი.